ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №612430

ნომერი: AR1118405

თარიღი : 21.03.2013

გაცემის თარიღი : 28.03.2013

გაცნობის თარიღი : 28.03.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ბენზოგასამართ სადგურთან / ქალაქი თბილისი , მტკვრის მარცხენა სანაპირო , სამთო ქიმიის შენობის , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ ღონიაშვილი პ/ნ 01026001257
- ფანასკერტელის 11/83

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდით #01/13/04/017/071) დღეის მდგომარეობით მინიჭებული აქვს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სტატუსი, რომელიც წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასი, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციით. აღნიშნულის გათვალისწინებით ფაქტიურად განისაზღვრა ამ მიწის ნაკვეთის შემდგომი განვითარების მიზნობრივი დანიშნულება და ის პირობები, რამაც უნდა უზრუნველყოს ისეთი მოცულობით-სივრცითი მასშტაბის არქიტექტურული ობიექტის ჩამოყალიბება, რომელიც მისაღები იქნება ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი განაშენიანებისათვის, როგორსაც წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო და რომელიც ამავდროულად წარმოადგენს მშენებლობის განსაკუთრებული რეგულირების ზონას, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ცალკეული ობიექტის მშენებლობას და მის არქიტექტურულ იერსახეს. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან და იმის გამო, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ობიექტი, როგორც მოცულობითი, ისე არქიტექტურულ-კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტილების თვალსაზრისით, ასევე მისი ფუნქციური დანიშნულებით ვერ უზრუნველყოფს ისეთი ობიექტის ჩამოყალიბებას, რომელიც დააკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, ამასთანავე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. #57 დადგენილების 65-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე დადგენილია ასეთ ზონებში I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების განთავსების მიზანშეუწონლობა, სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge